პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-15 წელი.

№ 128 (1298) | კვირა, 26 ოქტომბერი, 1958 წ. | ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათებზე: ზევით — მოტორბოლის მონაწილეებს შეჯიბრების მსაჯი აჩვენებს ტრასას. მარჯვნივ ზევით — გერმანელი მოტოციკლისტი კ. ნირი და ბულგარელი დ. ვასილიევი ტრამპლინის გადალახვის დროს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ადგილობრივი და ეროვნული ჰაერში

4 წლის წინ, მოსკოვის მახლობლად ჩატარდა საერთაშორისო შეჯიბრება მოტოსპორტში, რომლითაც საფუძველი ჩაეყარა ჩვენი ქვეყნისა და უცხოეთის მოტოციკლისტთა მეგობრობას. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, გდრ-ს, რუმინეთის, ბულგარეთისა და საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები. გაიმარჯვა საბჭოთა კავშირის ნაკრებმა. ორი წლის შემდეგ ლენინგრადში, კიროვის სახელობის სტადიონზე გაიმართა მეორე ამხანაგური შეხვედრა საგზაო წრიულ ტრასაზე, ხოლო იქვე მახლობლად, დაბა იუკის რაიონში, — კროსი. შეჯიბრებაში ზემოჩამოთვლილი ქვეყნების გარდა მონაწილეობდნენ უნგრეთის, ჩინეთის, ნორვეგიის, ფინეთისა და იუგოსლავიის გუნდები. საბჭოთა კავშირი წარმოდგენილი იყო ერთი ნაკრებით და რსფსრ-ს, ლატვიისა და ესტონეთის უძლიერესი მოტოციკლისტებით. გამარჯვება მოიპოვეს ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლებმა. საბჭოთა კავშირის ნაკრებმა დაიკავა მეორე ადგილი. დაბოლოს, შარშან, რიგაში შედგა მესამე ამხანაგური შეჯიბრება. უძლიერესი ამჯერად საბჭოთა ნაკრები გამოდგა.

წლევანდელ შეჯიბრებაში, რომელიც გუშინ დაიწყო „ბურევესტნიკის“ სტადიონზე, მონაწილეობენ: ავსტრიის, ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჰოლანდიის, პოლონეთის, რუმინეთის, ფინეთის, საფრანგეთისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები და საბჭოთა კავშირის, რსფსრ-სა და საქართველოს ნაკრები კოლექტივები.

ყოველ ეროვნულ კლუბს ან ფედერაციას გამოჰყავს გუნდი შემდეგი შემადგენლობით: ხელმძღვანელი (იგივე ჟიურის წევრი), მწვრთნელი (მექანიკოსი) და 6 სპორტსმენი ვაჟი (ორ-ორი თვითეულ კუბატურაში). შეჯიბრება პირად-გუნდურია და გასტანს ორ დღეს. მოტოციკლისტებმა პირველ დღეს განვლეს 8 წრე, დღეს მათ გასავლელი აქვთ კიდევ 12 წრე.

მოტოკროსის ტრასა წარმოადგენს სიგრძით 2,2 კმ ჩაკეტილ მრუდს. დისტანციის მრავალფეროვანი პროფილი სპორტსმენისაგან უაღრესად დიდ ოსტატობას მოითხოვს. ტრასას აქვს 26 მოსახვევი. 16 აღმართი და დაღმართი. მის უმაღლეს და უმდაბლეს წერტილებს შორის სხვაობა დაახლოებით 36 მეტრს უდრის.

როგორც პირადი, ისე გუნდური პირველობა განისაზღვრება ყოველ კუბატურაში დაკავებული ადგილების მიხედვით. პირველი ადგილი იღებს 30 ქულას, მეორე — 29-ს და ა. შ. უკანასკნელი 30-ე ადგილისათვის მოტოციკლისტს ეძლევა 1 ქულა. ჩათვლაში მოსახვედრად მონაწილეებმა პირველ დღეს უნდა გაიარონ არა ნაკლებ 3, ხოლო მეორე დღეს — არა ნაკლებ 9 წრე. მონაწილენი, რომლებმაც ვერ გადაკვეთეს ფინიშის ხაზი საკონტროლო დროში ლიდერის ფინიშთან მოსვლის შემდეგ და აგრეთვე უკანასკნელ სამ ადგილზე გამოსული მოტოციკლისტები ჩათვლაში არ შედიან.

ქულათა თანაფარდობის შემთხვევაში უპირატესობა (პირად ჩათვლაში) ეძლევა მონაწილეს, რომელსაც აქვს უკეთესი შედეგი შეჯიბრების მეორე დღეს. გუნდურ ჩათვლაში ქულათა თანაფარდობის შემთხვევაში პირველობა განისაზღვრება გუნდის წევრების მიერ დაკავებული პირველი ადგილების უმეტესი რაოდენობით. ნაადრევი სტარტისათვის სპორტსმენი პირველი წრის გავლის შემდეგ ფინიშის ხაზთან ჩერდება 1 წუთს.

მოტოციკლისტთა შეჯიბრება, რომელიც გუშინ თბილისში დაიწყო, მონაწილეთა სიძლიერით აღემატება ყველა აქამდე ჩატარებულს. აქ გამოდიან მსოფლიოში სახელგანთქმული მოტოციკლისტები: ჩეხი იერომირ ჩიუეკი — ევროპის ჩემპიონი 250 კბ სმ მოცულობის კლასის მოტოციკლებში, მრავალ საერთაშორისო შეჯიბრებათა მონაწილენი, ფინელი რენ რაიმო, ფრანგები კროუანი, შმიდტი, ლედორმერი და სხვ. საბჭოთა კავშირის ნაკრებში გამოდის სამი ჩემპიონი: ა. ვასინი (125 კბ სმ კლასი), ნ. სევასტიანოვი (350 კბ სმ კლასი), ვ. პილაევი (500 კბ სმ კლასი) და სხვა მოტოციკლისტები.

(დასასრული მე-3 გვ.).

პირველი ჯილდო 70 ათასი დოლარია

ვაშინგტონიდან 15 მილის დაშორებით მდებარე ქალაქ ლოურელში ტრადიციად იქცა მსოფლიოს საუკეთესო წმინდასისხლიანი ცხენების შეჯიბრება 1500 მეტრზე. ეს საინტერესო ღონისძიება გაიმართება მიმდინარე წლის 11 ნოემბერს, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ 8 ქვეყნის, მათ შორის სსრ კავშირის სპორტსმენები.

ამ დღეებში საბჭოთა კავშირის სპორტული დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში არიან ე. დოლმატოვი (ხელმძღვანელი), მწვრთნელი ე. გოტლიბი, სპორტსმენები ნ. ნასიბოვი, ვ. კოვალიოვი და ა. ლასკოვი, გაემგზავრებიან ამერიკის შეერთებულ შტატებში. შეჯიბრებაში გამარჯვებულთათვის დაწესებულია დიდი ჯილდოები. პირველ ადგილზე გამოსულ სპორტსმენს გადაეცემა 70 ათასი დოლარი, მეორე ადგილზე — 15, მესამე ადგილზე — 10 და მეოთხე ადგილზე გამოსულ სპორტსმენს 5 ათასი დოლარი. შეჯიბრებაში მონაწილე ქვეყნები უკვე გამორკვეულია ესენი არიან: ინგლისი, ირლანდია, სსრ კავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები, საფრანგეთი, ავსტრალია, არგენტინა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა.

საბჭოთა მოჭიდავეების გამგზავრება

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჭიდაობის ფედერაციის მიწვევით ბერლინში გაემგზავრა საბჭოთა სპორტსმენების დელეგაცია, რომელშიც შედიან სსრ კავშირის ნაკრები გუნდის მწვრთნელი კლასიკური ჭიდაობაში ა. ლენცი, ჩვენი ქვეყნის ექს-ჩემპიონი ს. რიბალკო, ხალხთა პირველი სპარტაკიადის ჩემპიონი ვ. რეკოვი და 1958 წლის მსოფლიო ჩემპიონი რ. აბაშიძე.

საბჭოთა მოჭიდავეები მონაწილეობას მიიღებენ შესანიშნავი გერმანელი სპორტსმენის, ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლის ვერნერ ზეელენბინდერის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირში.

„კალათბურთის დღე“

ამას წინათ ლატვიაში ჩატარდა „კალათბურთის დღე“. ქალაქებსა და სოფლებში გაიმართა შეჯიბრებები, რომლებშიც მონაწილეობდნენ რიგის საოლქო სპორტული კლუბისა და რესპუბლიკის სხვა უძლიერესი გუნდები. ამ ღონისძიებებმა კიდევ უფრო მასობრივი გახადა კალათბურთი და ბევრი იმედის მომცემი სპორტსმენიც გამოავლინა.

კარგი იქნება თუ ლატვიელი მეგობრების მაგალითს მიბაძავენ ჩვენი უძლიერესი გუნდები „დინამო“ და „ბურევესტნიკი“, რომელთა თამაშის მაღალი კლასის შესახებ მხოლოდ გაგონილი ან წაკითხული აქვთ საქართველოს ბევრი რაიონისა და ქალაქის კალათბურთის მოყვარულებს.

ვ. რაგოზინი — მსოფლიო ჩემპიონი

სამი წელი გრძელდებოდა მსოფლიოს მეორე პირველობა ჭადრაკში მიწერ-მოწერით თამაშში, რომელშიც მონაწილეობდა სხვადასხვა ქვეყნის 15 მოჭადრაკე, მათ შორის სსრ კავშირის წარმომადგენელი გროსმაისტერი ვ. რაგოზინი.

პირველობა დამთავრდა ვ. რაგოზინის ბრწყინვალე წარმატებით, რომელმაც 14 შესაძლებლიდან დააგროვა 11 ქულა და მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის სახელი. საბჭოთა მოჭადრაკემ მთელი ტურნირი ძლიერად ჩაატარა, განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ლამაზად მოგებული პარტია ფრანგ ოსტატ ბერგროსერთან.

ეს ესკიზები ჩვენი გაზეთის მიერ საქართველოს II სპარტაკიადის სამკერდე ნიშანზე გამოცხადებულ კონკურსზე შემოვიდა. კონკურსი 31 დეკემბრამდე გრძელდება. ესკიზები პერიოდულად გამოქვეყნდება.

ჩვენი ფიზკულტურა და სპორტი

ბათუმი

დამთავრდა ქალაქის თასის გათამაშება ფრენბურთში. ქალთა შორის ფინალში გავიდნენ სახელოსნო სასწავლებლისა და ბავშვთა სპორტული სკოლის გუნდები. ანგარიშით 3:0 გაიმარჯვეს სახელოსნო სასწავლებლის ფრენბურთელებმა.

საინტერესო იყო ვაჟთა გუნდების — „სპარტაკისა“ და „დინამოს“ ფინალური შეხვედრა. ანგარიშით 3:2 გაიმარჯვეს სპარტაკელებმა.

* * *

დამთავრდა აჭარის 1958 წლის პირად-გუნდური პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში.

გუნდური პირველობა მოიპოვეს ბათუმის რაიონის მოჭიდავეებმა, მეორე — ქ. ბათუმის, ხოლო მესამე — ხულოს გუნდებმა.

წონითი კატეგორიების მიხედვით აჭარის ჩემპიონები გახდნენ: ლ. ჩხაიძე, ო. თარგამაძე, ა. შინჯიკაშვილი, გ. ჩხაიძე (ყველა ბათუმიდან), ა. ცეცხლაძე (ხულო), ა. ფალავა, გ. ხალვაში, მ. მიქელაძე (სამიეე ბათუმის რაიონიდან).

* * *

ბათუმის რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტ-სპორტსმენებთან ამხანაგური შეხვედრების ჩასატარებლად ჩამოვიდნენ გორის ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფრენბურთელთა და კალათბურთელთა გუნდები.

ფრენბურთში ქალთა შორის ანგარიშით 3:0 გაიმარჯვეს გორელმა სტუდენტებმა, ხოლო ვაჟთა შორის ბათუმლებმა — 3:2.

კალათბურთში მოხდა პირიქით. მასპინძელმა ქალებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 42:30, ხოლო ვაჟები დამარცხდნენ — 40:48.

გ. ჭანტურია

თელავი

ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის პედინსტიტუტის სპორტდარბაზში ჩატარდა სპორტული სკოლის მაგიდის ჩოგბურთის სექციის (მწვრთნელი ა. სახიევი) პირველობა. ტურნირი დაუმარცხებლად განვლო თელავის მეოთხე საშუალო სკოლის მეექვსე კლასის მოსწავლემ ო. შბილევოიმ და მოიპოვა პირველი ადგილი.

ნ. ცერცვაძე.

სტალინირი

სტალინირში ჩატარდა ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ ჩრდილოეთ ოსეთისა და სამხრეთ ოსეთის გუნდები — ორჯონიკიძის „დინამო“ და სტალინირის „სპარტაკი“. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1.

ვ. ველკოვი.

ამ დღეებში სტალინირის კულტურისა და დასვენების პარკში ჩატარდა პროფკავშირულ-კომკავშირული კროსი. კროსში მონაწილე მოსწავლე გოგონები და ვაჟები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ 500 და 1.000 მეტრზე რბენაში, სტუდენტები კი — 1.000 და 5.000 მეტრზე რბენაში.

500 მეტრზე რბენაში გოგონათა შორის გამარჯვება მოიპოვა მეორე საშუალო სკოლის მოსწავლემ ნ. ბესტაევამ. ვაჟებიდან 1.000 მეტრზე რბენაში წარმატება წილად ხვდა პირველი სკოლის მძლეოსანს ა. მზარეულაშვილს. სტუდენტ ქალთა შორის 1.000 მეტრზე რბენაში ყველას აჯობა პედაგოგიური ინსტიტუტის წარმომადგენელმა ლ. მინდიაშვილმა, ხოლო 5.000-მეტრიან დისტანციაზე ვაჟებში გამარჯვება მოიპოვა ი. ბაგაევმა (პედინსტიტუტი).

სურათზე: რესპუბლიკის ნორჩი ტანმოვარჯიშეები, მოსწავლეთა V საკავშირო სპარტაკიადის მონაწილენი მარცხნიდან — ა. მარიამიძე, ვ. შიროკოვი და მ. საბაშვილი მორიგი მეცადინეობისათვის ემზადებიან.

ფოტო ვ. აბაშიძისა.

საუნივერსიტეტო ალპინიადა

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა კომკავშირის მე-40 წლისთავს მიუძღვნეს თავიანთი ალპინიადა, რომელსაც ხელმძღვანელობდა პამირის ლაშქრობის მონაწილე — მთამსვლელი შ. მირიანაშვილი. სტუდენტებმა დაიპყრეს მწვერვალი გორი, რომლის სიმაღლე 4200 მეტრამდე აღწევს.

ნ. მგელაძე.

ნელს პირველად

მიმდინარე წლის ხაფხულში ტყიბულის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა ჩამოაყალიბა ალპინისტური ჯგუფი, რომელმაც მოახდინა ასვლები რაჭის კავკასიონზე, ყარაულომის კვანძის რაიონში.

მიუხედავად ცუდი მეტეოროლოგიური პირობებისა, ჯგუფმა წარმატებით დაიპყრო შემდეგი მწვერვალები: ვოლოგატა, სკატიკომ-ხოხი, ჩრდილოეთი ორთავა, პიკი 4100 და სხვ. განხორციელდა აგრეთვე აღმოსავლეთ და დასავლეთ ყარაულომის მასივის ტრავერსი.

ასვლები მიეძღვნა თბილისის 1500 წლისთავსა და კომკავშირის მე-40 წლისთავს.

ვ. ოქრუაძე.

მ ე ხ უ თ ე ა დ გ ი ლ ზ ე

თუმცა შეჯიბრებები ადრევე დაიწყო, მაგრამ სოფლის ფიზკულტურელთა II საკავშირო სპარტაკიადის საზეიმო გახსნა შედგა 19 ოქტომბერს. სტავროპოლის „დინამოს“ სტადიონის მოედანზე მწყობრი ნაბიჯებით შემოვიდნენ სპორტსმენთა კოლონები, რომლებიც განლაგებული იყვნენ პირველ სპარტაკიადაში მოპოვებული ადგილების მიხედვით.

სპარტაკიადის მონაწილეებს მიესალმნენ საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, სკკპ სტავროპოლის სამხარეო კომიტეტის მდივანი ამხ. ნ. ლიფინი და ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტის წარმომადგენელი ამხ. დ. კუზნეცოვი.

სტადიონის რადიო-კვანძი იუწყება, რომ სპარტაკიადაში მონაწილე 14 მოძმე რესპუბლიკის სპორტული დელეგაციები და ადგილობრივი მშრომელები მიესალმებიან საქართველოს სპორტულ დელეგაციას და ულოცავენ მას რესპუბლიკის დედაქალაქის დაარსების 1500 წლისთავის დღესასწაულს.

საზეიმო ცერემონიალი დამთავრდა ადგილობრივ აკრობატთა საჩვენებელი გამოსვლებით, რის შემდეგ სხვადასხვა ბაზაზე, დაიწყო სპარტაკიადის მორიგი დღე. საქართველოს ფრენბურთელთა გუნდებმა 6 მატჩი ჩაატარეს. ქალებმა მოუგეს ლატვიას — 3:0, ესტონეთს 3:2, ლიტვას — 3:0, უზბეკეთს — 3:2 და წააგეს შეხვედრები უკრაინასთან — 0:3 და ბელორუსიასთან — 1:3. ისინი გამოვიდნენ მეექვსე ადგილზე. ვაჟებმა, რომლებმაც დაამარცხეს უზბეკეთის, ხომხეთისა და თურქმენეთის გუნდები, წააგეს ლატვიასთან, უკრაინასთან და მოლდავეთთან და მეშვიდე ადგილით დაკმაყოფილდნენ. (შარშან საქართველოს ფრენბურთელებს IX ადგილი ჰქონდათ).

საქართველოს გუნდმა თავისუფალ ჭიდაობაში კარგად ჩაატარა შეხვედრები და პირველი ადგილი დაიკავა, მაგრამ გასული წლის ჩემპიონმა კლასიკურ ჭიდაობაში — საქართველოს გუნდმა, გადაინაცვლა მესამე ადგილზე. აღსანიშნავია, რომ თავიანთ შესაძლებლობაზე სუსტად გამოვიდნენ ა. როსტიაშვილი, ტ. პაპუაშვილი და ვ. ვაჭარაძე.

არასახარბიელო შედეგები აქვთ ჩვენი რესპუბლიკის ველოსიპედისტებს — საერთო X ადგილი, მაშინ, როცა აზერბაიჯანის გუნდმა, რომელმაც შარშან წააგო ამიერკავკასიისა და მოლდავეთის რესპუბლიკების სპარტაკიადაზე, შეძლო ხაპრიზო მესამე ადგილზე გამოსვლა.

მეტად საინტერესოდ ჩატარდა შტანგისტთა შეჯიბრება. აქ გუნდური II-III ადგილების ბედი გადაწყვიტა მძიმე წონის ძალოსანთა გამოსვლამ. ატაცში უკრაინის წარმომადგენელმა ა. ვეტრიაკოვმა აჩვენა 125 კგ. და 5 კგ-ით ჩამოიტოვა გ. კოშაძე (საქართველო) და ი. როგაჩევი (რსფსრ). პირველობის საკითხს წყვეტდა მესამე მოძრაობა — აკვრა. გ. კოშაძემ აჰკრა 160 კგ. მის წარმატებას მქუხარე ტაშით მიესალმა მაყურებელი.

კოშაძემ სამჭიდში მოაგროვა 407,5 კგ და პირველი ადგილი მოიპოვა, რითაც საქართველოს გუნდმა გაინაღდა მეორე ადგილი. I და III ადგილები წილად ხვდათ უკრაინისა და რსფსრ-ს კოლექტივებს.

საქართველოს სპორტსმენები მეტად სუსტად გამოვიდნენ მძლეოსნობაში — IX ადგილი. გუნდი აშკარად არ იყო სათანადოდ დაკომპლექტებული. მაგალითად, კოლექტივმა ვერ შეძლო მონაწილის გამოყვანა ოროს ტყორცნასა და სპორტულ სიარულში 20 კილომეტრზე, ხოლო 10 კილომეტრზე სიარულში ს. ჯიქია წესის დარღვევისათვის მოიხსნა შეჯიბრებიდან. ხუთჭიდში სუსტად გამოვიდნენ ლ. ბოიკო და ა. ბადულინა, რომლებმაც შესაბამისად დაიკავეს მე-16 და 24-ე ადგილები.

დამთავრდა შეჯიბრება, შეჯამდა შედეგები. პირველი ადგილი მოიპოვა რსფსრ-ს კოლექტივმა. უკრაინელი და ესტონელი სპორტსმენები გამოვიდნენ მომდევნო ადგილებზე. საქართველოს გუნდმა, რომელიც წინა სპარტაკიადაზე მეექვსე ადგილზე იმყოფებოდა, ერთი ადგილით გადაიწია წინ. ცხადია, „კოლმეურნის“ ცენტრალურ საბჭოს გარკვეული მუშაობა ჩაუტარებია სოფლად ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისათვის, რაზეც მეტყველებს სპარტაკიადის საბოლოო შედეგები, მაგრამ არ შეიძლება უყურადღებოდ იქნას დატოვებული ჩამორჩენა მძლეოსნობასა და ველოსპორტში.

„კოლმეურნის“ ცენტრალურმა საბჭომ სათანადო დასკვნები უნდა გააკეთოს განვლილი სპარტაკიადიდან და დასახოს სათანადო ღონისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

თ. მაჩაბელი,
ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.

ჩემი შენიშვნები

მშთ ახალი კომპლექსის პროექტთან დაკავშირებით, უპირველეს ყოვლისა, უნდა შევჩერდე მის უმთავრეს ღირსებაზე. ესაა ნორმატივების ჩაბარებისას ქულობრივი შეფასების დაწესება. ამ სისტემით შეფასება ყოველ ჩამბარებელს სტიმულს მისცემს უკეთესი შედეგების ჩვენებისათვის. ამასთან, თუ ერთ-ერთ ნორმატივში მან შედარებით დაბალი შეფასება მიიღო, ჩამბარებელი ჯორკეცებული ენერგიით იბრძოლებს ჩამორჩენის ლიკვიდაციისათვის სხვა სახეობებში.

მისასალმებელია ისიც, რომ ნორმათა ჩაბარება უნდა მოხდეს მხოლოდ შეჯიბრებებზე. ეს მოთხოვნა, ერთის მხრივ, ნორმების ჩაბარების პროცესს გაცილებით უფრო საინტერესოს ხდის, ხოლო მეორეს მხრივ — ამაღლებს თვით ჩამბარებელთა პასუხისმგებლობას.

ამასთან, უნდა ავღნიშნო ზოგიერთი სუსტი მხარეებიც, რომლებიც ახალ პროექტს გაჩენია და რომლებიც საჭიროებენ გადაკეთებას, შევსებას ან გადამუშავებას.

ჩვენის აზრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მასებში მშთ ნორმატივების ჩაბარებისადმი ინტერესის მკვეთრი გაზრდა. ცხოვრებამ გვიჩვენა, რომ უკანასკნელ წლებში მშთ კომპლექსისადმი ჩამბარებელთა ინტერესი შემცირდა. ახალი კომპლექსის პროექტში არის მომენტები, რომლებიც ამ ხარვეზის აღმოფხვრას ემსახურებიან, მაგრამ ისინი მაინც ცოტაა. ამ საკითხზე საჭიროა სერიოზული დაფიქრება. იქნებ საჯარგებლო იყოს შეჯიბრებებში გამარჯვებულთათვის სპეციალური პრიზების დაწესება?

ერთი საქმეა მშთ ნორმატივების ჩაბარება სასკოლო ან უმაღლესი სასწავლებლების პროგრამია გავლისას, როგორც ჩვეულებრივი ჩათვლა. მაგრამ მშთ კომპლექსის ძირითადი იდეა ხომ ფართო მასების მოზიდვაა? ამ შემთხვევაში ზემოაღნიშნული გარემოება ვერ გვიშველის თუ თვით ჩაბარების პროცესს საინტერესოს არ გავხდით, მაშინ არავინ წავა იმ გამოცდის ჩასაბარებლად, რომელიც სავალდებულო არაა. მაგალითად, ნებაყოფლობით არავინ წავა ფიზიკის გამოცდის ჩასაბარებლად, მაგრამ ნორჩ ფიზიკოსთა ოლიმპიადაზე ყოველთვის დიდი ინტერესი და მონაწილეთა მრავალრიცხოვნება შეიმჩნევა.

იქ, სადაც ამის საშუალება არსებობს, მშთ ნორმატივების ჩაბარების შეჯიბრებები უნდა ჩატარდეს ეტაპებად. ხოლო ფინალური შეჯიბრებები ჩატარდეს მაყურებელთა მასობრივი თავმოყრის პირობებში, მაგალითად, ფეხბურთის მატჩის შუალედში. გამარჯვებულთა სახელები უნდა გამოცხადდეს რადიოში, გამოქვეყნდეს გაზეთებში. შიდასასკოლო, საინსტიტუტო, საქარხნო და ა. შ. შეჯიბრებებში გამარჯვებულნი მთელი სკოლის, უმაღლესი დაწესებულების, საწარმოს ყურადღების ცენტრში უნდა ექცეოდნენ.

ერთი სიტყვით, ფართო მასებში მშთ კომპლექსისადმი ინტერესის ამაღლების საშუალება ბევრგვარია და საჭიროა მათზე გულმოდგინე, სპეციალური დაფიქრება.

კიდევ რამდენიმე შენიშვნა: საგამოცდო სახეობათა რიცხვი, ცოტა არ იყოს, შემცირებულია; ტყორცნებში საჯურველია შევიტანოთ დატენილი ბურთი, რადგან შუბის, ბადროს და სხვა ტყორცნები ტექნიკის მხრივ ძნელი შესასრულებელია და დაუფლებისათვის ბევრ დროს მოითხოვს. უმჯობესია ტყორცნისა და კვრის რთული სახეობები გადავიტანოთ კომპლექსის მეორე საფეხურში, ხოლო პირველში არჩევანის უფრო ფართო საშუალება მივცეთ ჩამბარებლებს.

ბ. თავვართაქილაძე,
ფიზკულტურისა და სპორტის თბილისის კომიტეტის სამეცნ.-ერო-მეთოდური კომისიის თავმჯდომარე.

ვიხიდავთ მშთ ახალი კომპლექსის პროექტს

ერევანი

ერევანი. 23 ოქტომბერი. აქ შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის IV ზონის გუნდებს შორის. თამაშობდნენ „სპარტაკი“ (ერევანი)-სკკა (თბილისი).

მატჩი მოიგეს ერევნელებმა — 2:1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანური ფეხბურთი ევროპაში

(დასასრული)

ეხლა თვით იმ რბოლის შესახებ, რომელიც დიდხანს დარჩება თბილისელთა მეხსიერებაში. 125 კბ. სმ. კლასის მოტოციკლებს, როგორც ყოველთვის წილად ხვდათ საპატიო ამოცანა — შეჯიბრების დაწყება. 16 მოტოციკლისტი საკმაოდ ფრთხილად დაშორდა სტარტის ხაზს და გაუვა თავბრუდამხვევ ლაბირინთს. სისწრაფე, რა თქმა უნდა, დასაწყისში არ იყო დიდი, რადგან სპორტსმენები უმთავრესად მწკრივში უკეთესი ადგილის ამორჩევისათვის იბრძოდნენ. მაგრამ აი, უკან დარჩა პირველი ორი მოსახვევი, მოტოციკლები მოეწყვნენ ერთ გრძელ ჯაჭვად და მთელი ძალით იწყეს ძრავებმა მუშაობა. ქარავანს სათავეში მოექცა სპორტსმენი მე-7 ნომრით — თბილისელი კ. ცალქალამანიძე, მაგრამ მცირე ხნით. ავსტრიელმა ე. ლენშერმა (№ 8) ძლიერი ბიძგით დაიკავა ლიდერის ადგილი. პირველ ხუთეულში აღმოჩნდნენ აგრეთვე ჩეხები ზ. პოლიანკა, ბ. როუჩკა და საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი ი. გრიგორიევი.

პირველი წრის გავლის შემდეგ, როგორც ჩანს, პოლიანკა გახურდა. მან მოურიდებლად წაართვა ლიდერობა ავსტრიელს და რბოლას სათავეში მოექცა. ლენშერმა უმალვე სცადა დაკარგული ადგილის დაბრუნება, მაგრამ ამიხათვის მეტად არახელსაყრელი მომენტი შეარჩია. ტრასის ერთ-ერთ რთულ მონაკვეთზე (ციბეებიან აღმართზე) სისწრაფემ მას საჭე წაართვა და ლენშერი დაეცა. წამოდგომა და რბოლის გაგრძელება მას დანარჩენებმა, რა თქმა უნდა, არ აცალეს და იგი მეექვსე ადგილზე გადავიდა. ავსტრიელის ადგილი კი ხუთეულში საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა ა. ვასინმა დაიკავა.

ლენშერმა ერთხანს სცადა ბრძოლის გაგრძელება, მაგრამ, როგორც ჩანს, მას ამ დღეს „ბედი არ წყალობდა", მან კიდევ ორჯერ განიცადა ავარია და რბოლას საბოლოოდ გამოეთიშა. ამ ხნის განმავლობაში ლიდერთა მდგომარეობა თითქმის ყოველ კილომეტრზე იცვლებოდა იმ განსხვავებით, რომ ჩეხი პოლიანკა მუდამ პირველი იყო. გრიგორიევმა რამდენჯერმე სცადა ლიდერობის ხელში ჩაგდება. ორჯერ იგი თითქმის გაუთანასწორდა ჩეხს, მაგრამ ამ უკანასკნელმა, სწორზე, ორივეჯერ მოახერხა წინ გასვლა. სპორტსმენები ფინიშთან ასეთი თანმიმდევრობით მოვიდნენ: პოლიანკა, გრიგორიევი, როუჩკა, ვასინი და ცალქალამანიძე.

მსუბუქი მანქანები შეცვალეს საშუალო კუბატურის (350 კბ. სმ. კლასის) მოტოციკლებმა. აქ 18 სპორტსმენს შორის სტარტი აიღო სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა, პირველი დღის გმირმა, თბილისელთა შორის უკვე საკმაოდ პოპულარულმა იარომირ ჩიუეკმა.

იარომირ ჩიუეკი სპორტის მოყვარულებმა ჯერ კიდევ წინა დღეს ვარჯიშის დროს „აღმოაჩინეს" და მასვე „დაულოცეს" პირველი ადგილი. რბოლა მან მშვიდად დაიწყო. არც ცდილა თავიდანვე ხელთ ეგდო ლიდერობა. მონაწილეთა შორის მან „მონახა" თავისი მთავარი მეტოქე, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ნ. სევასტიანოვი და „ჩაუჯდა თვალში". ასე იარეს ლიდერებმა სამი წრე. სევასტიანოვი, ჩეხის ტაქტიკამ არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩააყენა. ძნელია, როდესაც ზურგს უკან გრძნობ ისეთ გამოცდილ ოსტატს, როგორიც ჩიუეკია. ძნელია, მაგრამ რას იზამ... ჩიუეკმა უცადა ხელსაყრელ მომენტს და ერთ-ერთ მოსახვევში დაკიდებული ფერდობის პირას, გაუარა ლიდერს. რბოლაში გამარჯვებულის ბედი ფაქტიურად მაშინ გადაწყდა. დარჩენილ წრეებში ჩეხმა შეინარჩუნა მხოლოდ მეოთხე წრეზე მოპოვებული უპირატესობა და მაყურებელთა მჭუხარე ტაშის ქვეშ გადაკვეთა ფინიშის ხაზი. სევასტიანოვი მეორე ადგილზე დარჩა.

500 კბ. სმ. კლასის მოტოციკლებში თავდაპირველად ძნელი იყო ლიდერის განსაზღვრა. სტარტი ცუდად მიიღო ფინელმა რეიმო რენნეკ და ამიტომ იგი აუტსაიდერთა შორის მოექცა. შემდგომში ამ მალალტექნიკურმა სპორტსმენმა იდეალურად განვლო ტრასა, ოღონდ მეხუთეზე უკეთესი ადგილი ვერ მოიპოვა. დიდხანს ლიდერობდა ინგლისელი პ. რიტმანი ლიდერობდა, მაგრამ ახალგაზრდა ფრანგმა მოტოციკლისტმა ჟ. ლედორმირმა გამოამჟღავნა შესანიშნავი ფიზიკური და ტექნიკური მომზადება, მეოთხე წრეზე გაუსწრო ჰოლანდიელს და დიხტანციაც პირველმა დაამთავრა. ფინიშთან მეორე იყო რიტმანი, მესამე — ჩეხი ო. კლაუდინგერი, ხოლო მეოთხე — მისი თანაგუნდელი — ი. გრადეკი.

პირველ დღეს გაიმართა აგრეთვე დამატებითი შეჯიბრება (500 კბ. სმ. კლასის მოტოციკლებისათვის) საქართველოს ფიზკულტურის კომიტეტის თასზე, რომელიც შესანიშნავ სტილში მოიგო იარომირ ჩიუეკმა.

ნ. გუგუშვილი

გამარჯვებულნი

მიუნხენში დამთავრდა XIII საჭადრაკო ოლიმპიადა, რომელშიც მსოფლიო ჩემპიონის სახელისათვის იბრძოდნენ ევროპის, ამერიკის, აზიისა და აფრიკის 36 ქვეყნის მოჭადრაკეთა გუნდები. ოლიმპიადა აღინიშნა საბჭოთა გროსმაისტერების დიდი წარმატებით. მათ მოაგროვეს 34,5 ქულა, მეოთხედ მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონის ოქროს თასი. საბჭოთა გროსმაისტერებმა თავიანთ ძირითად კონკურენტებს — იუგოსლავიისა და არგენტინის მოჭადრაკეებს საგრძნობლად გაუსწრეს. იუგოსლავიის გუნდი, რომელიც მეორე ადგილზე გავიდა, ჩვენი ქვეყნის მოჭადრაკეებს ჩამორჩა 5,5 ქულით. მესამე ადგილი დაიკავა არგენტინის გუნდმა, რომელმაც 25,5 ქულა მოაგროვა. ამერიკის შეერთებული შტატების მოჭადრაკეები, რომლებიც ოლიმპიადის დაწყებამდე ძალზე ოპტიმისტურად იყვნენ განწყობილი, მხოლოდ მეოთხე ადგილზე აღმოჩნდნენ (24 ქულა).

საბჭოთა გროსმაისტერების წარმატება ხავსებით დამსახურებულია. მათ ოლიმპიადაზე გამოამჟღავნეს გამარჯვებისადმი სწრაფვის შეუნელებელი ლტოლვა და ჭადრაკის სტრატეგიისა და ტაქტიკის უღრმესი ცოდნა.

საბჭოთა გუნდმა 19 თამაშიდან მოიგო 16 და მხოლოდ 3 შეხვედრა დაამთავრა ფრედ. ნახევარფინალურ ტურნირში საბჭოთა მოჭადრაკეებმა „შრალი" ანგარიშით — 4:0 დაამარცხეს იტალიის, საფრანგეთისა და ირლანდიის გუნდები, ბულგარეთის ძლიერი კოლექტივი და პოუერტო-რიკოს მოჭადრაკეები — 3,5:0,5. ფინალური შეჯიბრების სტარტზე საბჭოთა მოჭადრაკეებმა ერთგვარი წარუმატებლობა განიცადეს, რამაც უცხოურ პრესას საბაბი მისცა უჭვის ქვეშ დაეყენებინა საბჭოთა გროსმაისტერების შანსები მსოფლიო ჩემპიონის წოდებისათვის ბრძოლაში. მათ ფრედ დაამთავრეს შეხვედრები ამერიკელებსა და იუგოსლავებთან, მცირე ანგარიშით (2,5:1,5) მოუგეს გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის გუნდს და საგრძნობი განსხვავებით ბულგარელებს — 3,5:0,5. მაგრამ მეხუთე ტურში ჩეხოსლოვაკიის ძლიერ კოლექტივთან ამავე ანგარიშით გამარჯვების შემდეგ, ყველასათვის ცხადი შეიქნა საბჭოთა გუნდის ნამდვილი ძალა. შემდგომში საბჭოთა გროსმაისტერებმა ფრედ ითამაშეს არგენტინელებთან — 2:2, დაამარცხეს ესპანეთის (3,5:0,5), ინგლისის (4:0), გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის (4:0), ავსტრიისა (4:0) და შვეიცარიის გუნდები (3,5:0,5).

საბჭოთა გროსმაისტერებმა ოლიმპიადაზე სულ ითამაშეს 76 პარტია, რომელთაგან 48 მოიგეს, 27 ყაიმით დაამთავრეს და მხოლოდ ერთი პარტია (ბოტვინიკმა) წააგეს. ოლიმპიადაზე აბსოლუტურად საუკეთესო შედეგები აჩვენა საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა მ. ტალმა, რომელმაც 15 შესაძლებლიდან მოაგროვა 13,5 ქულა. მან 12 პარტია მოიგო და 3 ყაიმით დაამთავრა. ოლიმპიადაზე დამსწრე საზოგადოებრიობა განსაკუთრებული ინტერესით ადევნებდა თვალს მის პარტიებს, რომლებიც გამოირჩეოდა მწვავე კომბინაციური სტილით. მოგვყავს საბჭოთა ჩემპიონის ერთ-ერთი საინტერესო პარტია.

სხვა საბჭოთა მოჭადრაკეებს თავიანთ დაფებზე ასეთი შედეგები აქვთ: მ. ბოტვინიკს 9 ქულა 12-დან, ვ. სმისლოვს, პ. კერესსა და დ. ბრონშტეინს — 9,5 ქულა 12-დან თვითეულს, ტ. პეტროსიანს — 10,5 ქულა 13-დან.

* * *

მ. ტალი—კ. დარგა (გფრ)

ესპანური პარტია

1. e4 e5 2. მf3 მc6 3. კb5 a6 4. კa4 მf6 5. 0—0 e7 6. ეe1 b5 7. კb3 d6 8. c3 0—0 9. h3 მd7 10 d4 მb6 11. კe3 ეb8 ეს ყველაფერი კარგადაა ცნობილი თეორიაში და პრაქტიკაში ხშირად გამოიყენება. ახლა ტალი უფრო აქტიურ თამაშს ღებულობს.

12. de m:e5 13. m:e5 d:e5 14. ლh5! ლd6 15. მd2 კf6 16. მf3 მc4 17. ეad1 ლe7 18. კg5 g6

თეორიების სასარგებლო მწვავე თამაში იქმნებოდა 18. ... m:b2 19 m:f7 mc4! შემდეგ. ამიტომ დარგა კმაყოფილდება პოზიციური გაგრძელებით.

19. კf6 ლ.f6 20. ლh6 ლe7 21 ეd3! f6 (ახლაც არ შეიძლებოდა m:b2 22. mg5 გა ო) 22. mh4 (მუქარით 23. ეg3 და 24. m:g6!) 22. ... g5 23. mf5 კf5 24 ef mფh8 25. ეed1 ეfd8 (მხოლოდ ასე, თუ 25. ... ეbd8, მაშინ 26. ეd7! მოგებით) 26. ე:d8+ ე:d8 27. ეd8+ ლ:d8 28. h4!

შექმნილი ლაბიერების დაბოლოება თეორიების სასარგებლოდაა. დარგას პოზიციაში მრავალი სისუსტეა, სახელდობრ მეფე ცუდადაა განლაგებული, სუსტია f6 პაიკი, ლაბიერს არ აქვს კარგი დაცვითი სვლები და სხვ.

28. ... g4 (არ შეიძლებოდა 28. ... m:b2 29 hg და 30. f6 გამო) 29. კc4 bc 30. mფh2 mg8 31 ლh5 ლd2 32. ლ:g4+ mფf8 33. f3 ლ:b2 34. ლ:c4 ლf2 35. mფh3 დარგა დანებდა, თუმცა მას კიდევ შეეძლო გაეგრძელებინა უპერსპექტივო წინააღმდეგობა

თ. გიორგაძე.

რესპუბლიკური პირველობა სპორტულ ტანვარჯიშში

24 ოქტომბერს ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში დაიწყო საქართველოს პირად-გუნდური პირველობა სპორტულ ტანვარჯიშში.

დებულების თანახმად გუნდურ პირველობას ერთმანეთს ეჯიბრებიან რესპუბლიკის სპორტული საზოგადოებები: „ბურევესტნიკი", „სპარტაკი", „ლოკომოტივი", „დინამო", „შრომითი რეზერვები", „განთიადი" და საბჭოთა არმიის თბილისის სპორტული კლუბი, რომლებმაც გასულ წელთან შედარებით უკეთესად მომზადებული ტანმოვარჯიშეები გამოიყვანეს. წინა პირველობებისაგან განსხვავებით, თვითეულ გუნდში შეყვანილია 4 ვაჟი და 4 ქალი, არაუმეტეს 1939 წელში დაბადებულნი. 1958 წლის საქართველოს პირველობისათვის იბრძვის ოსტატთა პროგრამით 87 ტანმოვარჯიშე, მათ შორის — 49 ქალი და 62 პირველთანრიგოსანი.

შეჯიბრების პირველ დღეს ასპარეზობდნენ ქალები. პირველთანრიგოსანთა შორის სავალდებულო პროგრამით პირველ ადგილზეა „ლოკომოტივის" წარმომადგენელი ნ. ოდილავაძე — 36,1 ქულა. მომდევნო ადგილებზე არიან განთიადელი ლ. ვერულაშვილი — 35,5 ქ. და „ლოკომოტივის" გუნდის წევრი კ. ყიგულინა — 34,6 ქ.

შედარებით საინტერესო იყო შეჯიბრება ოსტატ ქალებს შორის. პირველი იარაღიდანვე ლიდერობა ხელთ იგდო მ. ნინოშვილმა („დინამო"). მან საუკეთესოდ შეასრულა სავალდებულო ვარჯიში ორძელზე — 9,45 ქულა, დვირზე — 9,5 ქულა და მისთვის შედარებით „მტკივნეული ადგილის" გადალახვაშიც კი — ბჯენით ხტომებში 9,3 ქულა დაიმსახურა.

ლიდერს კვალდაკვალ მისდევდა დინამოელი მ. ცნობილაძე და გამოცდილი ოსტატი, გასული წლის საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონი თ. ბეთანელი („შრომითი რეზერვები").

უკანასკნელმა მეოთხე სახეობამ — ნინოშვილისა და ბეთანელისათვის — თავისუფალმა ვარჯიშმა, ხოლო ცნობილაძისათვის — ხტომებმა — გადაწყვიტა ოსტატთა სავალდებულო პროგრამაში გამარჯვებულთა ბედი. მ. ნინოშვილმა ჩვეული სითამამით დაიწყო ვარჯიშის შესრულება, მაგრამ უკანასკნელი ილეთის შეუსრულებლობამ იგი საბოლოოდ მეოთხე ადგილზე გადაიყვანა. ლიდერი და სავალდებულო პროგრამაში გამარჯვებული გახდა თ. ბეთანელი — 37,25 ქ., რომელიც ავადმყოფობის შემდეგ ჯერ კიდევ არ არის მისთვის ჩვეულ სპორტულ ფორმაში. მეორე ადგილზეა მ. ცნობილაძე — 36,95, ხოლო მესამე ადგილზე — ტ. კომისარენკო („დინამო"), რომელიც ცნობილაძეს მხოლოდ 0,05 ქულით ჩამორჩება.

ვაჟებში 4 იარაღის შემდეგ პირველ ადგილზეა ი. ბალიაური, მეორეზე — რ. კაჭახიძე.

თ. სანეგლიძე

სურათზე: საქართველოს 1958 წლის პირველობა სპორტულ ტანვარჯიშში. შეჯიბრების გახსნისადმი მიძღვნილი აღლუმი.

ლენინელი

მე-3 გვ. № 128 (1298)

თასი დაიბრუნეს

„შრომითი რეზერვების“ ცენტრალური საბჭოს 1958 წლის პირველობა ფეხბურთში ჭაბუკთა შორის სტავროპოლში დაიწყო, მაგრამ შემდეგ, იმის გამო, რომ აქ თავი მოიყარეს სოფლის ფიზკულტურელთა საკავშირო სპარტაკიადის მონაწილეებმა, მატჩები გადატანილ იქნა პიატიგორსკსა და ესენტუკში. შეჯიბრებაში მონაწილე 10 კოლექტივი დაყოფილ იქნა ორ ქვეჯგუფად. I ქვეჯგუფში გამარჯვებისათვის იბრძოდნენ ლენინგრადის, კიევის, ხარკოვის, როსტოვისა და სტავროპოლის გუნდები, II ქვეჯგუფში გამოდიოდნენ მოსკოვის, სარანსკის, ერევნის, ლვოვისა და თბილისის ფეხბურთელები.

ქვეჯგუფებში I-II ადგილებზე გამოსულ გუნდებს უფლება ეძლეოდათ გაეთამაშებინათ I-IV ადგილები. თბილისელმა ფეხბურთელებმა თავიანთ ქვეჯგუფში დაამარცხეს ლვოვის — 2:1, სარანსკის — 3:0 და მოსკოვის — 3:0 გუნდები, ხოლო ფრედ 1:1 დაამთავრეს შეხვედრა ერევნის „შრომითი რეზერვების“ კოლექტივთან. მოგროვეს 7 ქულა და პირველი ადგილი მოიპოვეს. ამდენივე ქულით მეორე ქვეჯგუფში ყველას აჯობა ლენინგრადის „შრომითი რეზერვების“ ახალგაზრდა ფეხბურთელთა სკოლის გუნდებმა, მათ აქტივშია მოგებები ხარკოვთან — 1:0, სტავროპოლთან — 3:1 და როსტოვთან — 2:0 და ფრე კიევის გუნდთან — 0:0.

გადამწყვეტ მატჩში პირველი ადგილისა და თასისათვის ერთმანეთს შეხვდნენ გამარჯვებულები — თბილისისა და ლენინგრადის გუნდები. მატჩი მეტად დაძაბულად მიმდინარეობდა და დამთავრდა საქართველოს ფეხბურთელთა გამარჯვებით ანგარიშით 4:3.

ᲘᲐᲮᲥᲜᲘᲐᲜᲘ ᲜᲐᲕᲔᲑᲘ ᲖᲦᲕᲐᲨᲘ





სოხუმში მოეწყო საქალაქო პირველობა საიალქნო სპორტში, რომელშიც მონაწილეობდნენ „განთიადის“, ბავშვთა სპორტული სკოლის, დოსაააფისა და სხვა ორგანიზაციების გუნდები.

შეჯიბრება ჩატარდა 2,5 საზღვაო მილის დისტანციაზე „ფინისა“ და „მ“ კლასის იახტებისათვის. პირად პირველობაში ვაჟთა შორის „მ“ კლასის იახტებზე გამარჯვებული გამოვიდა დოსაააფის საზღვაო კლუბის ეკიპაჟი, რომლის მესაჭე იყო ა. დეინენკო. ქალთა შორის — „განთიადის“ გუნდი (მესაჭე. ი. გრიგორიევა).

„ფინის“ კლასში მონაწილეობდნენ. მხოლოდ ვაჟები. გაიმარჯვა ვ. ქუკოვმა. გუნდური პირველობა წილად ხვდათ „განთიადის“ სპორტსმენებს.

ვ. სემიონოვი.

• • •

სურათებზე: იალქნიანი ნავები დისტანციაზე. ზევით — „მ“ კლასის იახტა უახლოვდება ფინიშს. „ფინის“ კლასის იახტა დისტანციაზე.

ფოტო ვ. სემიონოვისა.

ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲘᲡ „ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲘ“

როგორც ცნობილია, ბრაზილიელ ფეხბურთელებს — ჩვენთან ბრიტანელებისა და ... ...